პრესრელიზი

24 სექტემბერს, ორშაბათს, 14:00 საათზე, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (თბილისი, ალექსიძის ქუჩა, N1/3) მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის ფარგლებში ჩატარდება გამოფენა „ალექსანდრე ყაზბეგი - 170“.

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ალექსანდრე ყაზბეგის ავტოგრაფიული ნუსხები, ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი საბუთები და უბის წიგნაკები - კოლექცია, რომელიც დაცულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არქივში.

„ალექსანდრე ყაზბეგი - 170“ გამოფენის ფარგლებში გაიმართება ლექცია „უცნობი ყაზბეგი“, რომელსაც წარუძღვება პროფესორი ზაზა აბზიანიძე; ასევე, სკოლის მოსწავლეებისთვის ხეც-ის (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი) თანამშრომლები ირინა გოგონაია და ვლადიმერ კეკელია ჩაატარებენ სიმულაციურ თამაშს სახელწოდებით „არქივარიუსი: რას გვიყვება ალექსანდრე ყაზბეგის პირადი არქივი?“.

„კორნელის კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ალექსანდრე ყაზბეგის არქივი მწერლის ცხოვრების წესის, ინტერესთა სფეროს, ხასიათის, საზოგადოებისა და საზოგოადების მისადმი დამოკიდებულების საგულისხმო ინდიკატორია. შესაბამისად, უტყუარი წყაროა ისეთი მოცემულობების კვლევისათვის, როგორიცაა ეპოქა და პიროვნება. საგულისხმოა, რომ ეპოქასა და პიროვნებას შორის კიდევ ერთი რგოლია - პირადი და საზოგადოებრივი არჩევანი. პირადი არქივი სწორედ ამ მოცემულობის კვლევის საშუალებას გვთავაზობს.“ - აღნიშნავს ზაზა აბზიანიძე თავის ნაშრომში „უცნობი ყაზბეგი“.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი არის ხელნაწერი წიგნების, ისტორიული დოკუმენტებისა და ქართველი გამოჩენილი მოღვაწეების პირადი არქივების უმსხვილესი საცავი საქართველოში. ხეც-ი დაარსდა 1958 და მისი უმთავრესი მიმართულელებია ხელნაწერების დაცვა-აღრიცხვა, მათი მეცნიერული კვლევა და ცენტრში დაცული უნიკალური მასალის პოპულარიზაცია.

###

სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
მარიამ ჯაბიძე - 577 977 199; **მარია წერეთელი** - 598 84 84 88 pr@manuscript.ac.ge -
www.manuscript.ge
მის: თბილისი, მ. ალექსიძის ქუჩა №1/3